სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/55

ქ. თბილისი 25 დეკემბერი 2020

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საინჟინრო-ტექნიკური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საკონსულტაციო თვითდაფინანსებით მოქმედი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 დეკემბრის №01-05-04/211 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 25 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. შეიქმნას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საინჟინრო-ტექნიკური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საკონსულტაციო თვითდაფინანსებით მოქმედი ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**